ოქმი:ო63. 63260844
თარიღი:25/03/2026

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს**

**განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა**

**კომისიის სხდომის**

**ოქმი N3**

19 მარტი.2026 წელი.

მიმდინარე წლის 19 მარტს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ჯონი თევზაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ:** ჯონი თევზაძე, გიორგი მეიშვილი, ირაკლი მელაშვილი, პაატა კოხრეიძე, ტარიელ დვალიშვილი, მაია ტალაბაძე, ლელა ჩორგოლაშვილი, როლანდ ეცადეიშვილი, მარიამ ცომაია, ქიშვარდი ღაღანიძე, მერაბ თევზაძე.

**ასევე სხდომას ესწრებოდა**: ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი“_ს დირექტორი ვეფხია ნადირაძე და ბუღალტერი - ენძელა პატარიძე.

**დღის წესრიგი:**

1. ქალაქ სამტრედიაში, თამარ თავაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელდებო მონაკვეთის სახელდების შესახებ.

   **/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე/**

2. ქალაქ სამტრედიაში, ამირან ბახტაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელდებო მონაკვეთის სახელდების შესახებ.

   **/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე/**

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გამოჩინებულში მე-5 ქუჩის სახელდების შესახებ - ფილიმონ ქორიძე.

   **/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე/**

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632535818 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   **/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე/**

5. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (11 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, კომისიის წევრთა (11 ხმით), დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

***დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით*** განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ქალაქ სამტრედიაში, თამარ თავაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელდებო მონაკვეთის სახელდების შესახებ.

ქალაქ სამტრედიაში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელთან შემოვიდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 19 თებერვლის №35516 მომართვა, რომელიც ეხება ქალაქ სამტრედიაში, თამარ თავაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახლდებო მონაკვეთის სახელდების საკითხს.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა"-ქვეპუნქტის ,,ა.ე"-ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება ქუჩის სახელდება.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა"-ქვეპუნქტის ,,ა.ე"-ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2015 წლის 01 ივნისის №239 დადგენილებისა და ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 6 ივნისის №19 დადგენილების მიხედვით, გთხოვთ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილოს ქალაქ სამტრედიაში, თამარ თავაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახლდებო მონაკვეთის სახელდების საკითხი და მიიღოს ,,ქალაქ სამტრედიაში, თამარ თავაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახლდებო მონაკვეთის სახელდების შესახებ'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მოსაზრება დააფიქსირეს.

**დაადგინეს:** კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (11ხმით) ეთანხმება საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

***დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით*** განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ქალაქ სამტრედიაში, ამირან ბახტაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელდებო მონაკვეთის სახელდების შესახებ.

ქალაქ სამტრედიაში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელთან შემოვიდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 19 თებერვლის №35980 მომართვა, რომელიც ეხება ქალაქ სამტრედიაში, ამირან ბახტაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახლდებო მონაკვეთის სახელდების საკითხს.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა"-ქვეპუნქტის ,,ა.ე"-ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება ქუჩის სახელდება.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა"-ქვეპუნქტის ,,ა.ე"-ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2015 წლის 01 ივნისის №239 დადგენილებისა და ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 6 ივნისის №19 დადგენილების მიხედვით, გთხოვთ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილოს ქალაქ სამტრედიაში, ამირან ბახტაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახლდებო მონაკვეთის სახელდების საკითხი და მიიღოს ,,ქალაქ სამტრედიაში, ამირან ბახტაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახლდებო მონაკვეთის სახელდების შესახებ'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მოსაზრება დააფიქსირეს.

**დაადგინეს:** კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (11ხმით) ეთანხმება საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

***დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით*** განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის N62-6226072101 წერილობითი მომართვა.

სოფელ გამოჩინებულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელთან შემოვიდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გამოჩინებულში მცხოვრებთა განცხადება, რომლითაც ითხოვენ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გამოჩინებულში მე-5 ქუჩას შეეცვალოს სახელი და მას ეწოდოს ფილიმონ ქორიძის ქუჩა.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა"-ქვეპუნქტის ,,ა.ე"-ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება ქუჩის სახელდება.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა"-ქვეპუნქტის ,,ა.ე"-ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 01 ივნისის №239 დადგენილებისა და ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 6 ივნისის №19 დადგენილების მიხედვით, გთხოვთ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გამოჩინებულში მე-5 ქუჩის სახელდების შესახებ'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მოსაზრება დააფიქსირეს.

ჯონი თევზაძე - მოგახსენებთ, რომ ფილიმონ ქორიძე გახლდათ ქართველი ფოლკლორისტი და ლოტბარი. ის იყო ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი, პირველი ქართული პროფესიონალი მომღერალი (ბანი),ქართული სახალხო გუნდების ორგანიზატორი და ლოტბარი.

მივესალმები მოსახლეობის მოთხოვნას და შემდგომი ეტაპი იქნება სოფელ გამოჩინებულში გასვლითი კომისიის სხდომა, მოსახლეობასთან შეხვედრის მიზნით.

წერილობით მომართვას თან ახლავს დანართის სახით სოფელ გამოჩინებულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმოამდგენლის 2026 წლის 05 მარტის N01-622606477 მოხსენებითი ბარათი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გამოჩინებულში მცხოვრებთა განცხადება და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გამოჩინებულში მე-5 ქუჩის სახელდების შესახებ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება (პროექტი).

**დაადგინეს:** კომისიის წევრებმა, კენჭისყრის შედეგად, (11) ხმით გადაწყვიტეს, რომ საკითხს მიეცეს მსვლელობა.

***დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით*** განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632535818 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი ითხოვს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის # გ-63.632535818 განკარგულებით დამტკიცებულ 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილებას, კერძოდ სუბსიდიის გეგმით გასაწევ ხარჯებში შრომის ანაზღაურების გეგმის შემცირებას 14.8 ათ.ლარით, რაც გამოწვეულია ორგანიზაციული ცვლილებებით, რომელიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას (საქართველოს შრომის კოდექსის მუხლი #47) საშტატო განრიგში 4 ერთეულით, კერძოდ: ეწრის კლუბი, ოფეთის კულტურის მუშაკი, ხუნჯულაურის კლუბი, ტოლების კულტურის მუშაკის შემცირებას, შესაბამისად არაფინანსური აქტივების გეგმის 14.8 ათ.ლარით გაზრდას.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მოსაზრება დააფიქსირეს.

**დაადგინეს:** კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (11ხმით) ეთანხმება საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

***სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/***

ჯონი თევზაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი